საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი 16.11.2025 წელი

ცნობა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზირი №45) **“ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ”** ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო;

“ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის“ პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ XII თავის შესაბამისად და განსაზღვრავს 2027 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია. ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაში.

პროექტი შესწავლილ და განხილულ იქნება საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში:

1. ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა 17 ნოემბერი - 15:00 საათი;
2. განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია 18 ნოემბერი - 15:00 საათი;
3. ფრაქცია „ქართული ოცნება-დამოკრატიული საქართველო“ 19 ნოემბერი - 16:00 საათი;
4. ფრაქცია „ხალხის ძალა“ - 20 ნოემბერი 12:00 საათი;
5. ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“ - 20 ნოემბერი 14:00 საათი;
6. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა და იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიების გაერთიანებული 20 ნოემბერი 15:00 საათი;
7. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია 24 ნოემბერი - 15:00 საათი.

“ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ნახვა შესაძლებელია საკრებულოს ვებგვერდზე: https://zugdidi.gov.ge/ka/content/1074/municipalitetis-biujeti

დაინტერესებული პირების მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენა შესაძლებელია არა უგვიანეს 24 ნოემბრის 18:00 საათამდე საკრებულოს აპარატში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზირი №45)

“ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომა გაიმართება არაუგვიანეს 31 დეკემბრისა.